მაგისტრანტობის კანდიდატთან გასაუბრების შეფასება

მაგისტრანტობის კონკურსანტი (გვარი, სახელი)	
სამაგისტრო პროგრამა	

№	**შეფასების კომპონენტი**		**განმარტება**
1.	გამოცდა სპეციალობაში*	გასაუბრება (არსებობის შემთხვევაში)	1. ფასდება მხოლოდ საკონკურსო კომისიის წევრი – დარგის სპეციალისტ(ებ)ის მიერ. კომისიის დანარჩენი წევრების შეფასების შესაბამის გრაფაში ჩაიწერება „ - “; 2. მოიაზრება მაგ., სპეციალობის (დარგობრივი) საკითხების ცოდნა, ცოდნით თავისუფალი ოპერირების, საკითხებზე არგუმენტირებულად და სტრუქტურირებულად მსჯელობის, ინფორმაციის ლოგიკურად და თანმიმდევრულად გადმოცემის, შეკითხვებზე პასუხის მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარები და სხვ.
		წერითი გამოცდა (არსებობის შემთხვევაში)	შეფასების სისტემა განისაზღვრება სპეციალობის საგამოცდო დავალებების სპეციფიკის გათვალისწინებით (ერთვის საგამოცდო დავალებებს)
2.	მოტივაცია (საკონკურსო მოთხოვნის შემთხვევაში)		1. ფასდება საკონკურსო კომისიის ყველა წევრის მიერ; 2. მოიაზრება მაგ., მაგისტრანტობის კანდიდატის უნარი საკონკურსო კომისიას გაუზიაროს პროგრამაზე სწავლის სურვილის მიზნები, დაასაბუთოს პროგრამასთან დაკავშირული მოლოდინები, პროგრამის შესწავლის შედეგად მიღებული კომპეტენციების გამოყენების ხედვა და სხვ.
3.	სამუშაო გამოცდილება და/ან პროფესიული განვითარება (საკონკურსო მოთხოვნის შემთხვევაში)		1. ფასდება საკონკურსო კომისიის ყველა წევრის მიერ; 2. მოიაზრება მაგ., მაგისტრანტობის კანდიდატის უკვე არსებული დარგობრივი სამუშაო გამოცდილება, პროფესიული განვითარების მიზნით გავლილი სტაჟირება, სპეციალური მომზადება/განათლება და/ან სხვ.

<u>შენიშვნა:</u>

1) „გამოცდა სპეციალობაში“ შეფასების სავალდებულო კომპონენტია და ტარდება „გასაუბრების სპეციალობაში“ და/ან „წერითი გამოცდის სპეციალობაში“ ფორმით; შეფასება ხდება კომისიის წევრ(ებ)ის - დარგის სპეციალისტ(ებ)ის მიერ ინდივიდუალურად. სხვა კომპონენტები („მოტივაცია“ და/ან „სამუშაო გამოცდილება და/ან პროფესიული განვითარება“) გამოიყენება: 1) იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია საკონკურსო მოთხოვნებით ან/და 2) გადაწყვეტილება მისაღებია თანაბარქულიან მაგისტრანტებს შორის გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენის მიზნით.*

2) <u>შეფასების სისტემა:</u> 1) სამოლოო გადაწყვეტილებისთვის გადამწყვეტია კომპონენტი „გამოცდა სპეციალობაში“. ყველა დანარჩენი კომპონენტის შეფასება მხედველობაში მიიღება ამ კომპონენტში შეფასების მიღების შემთხვევაში; 2) თითოეულ შეფასების კომპონენტებში ქულათა რანჟირება: 5 ქულა - სრულყოფილი; 4 ქულა - კარგი; 3 ქულა - დამაკმაყოფილებელი; 2 ქულა - საკმარისი, 1 ქულა - მნიშვნელოვანი უზუსტობებით, 0 ქულა - არადამაკმაყოფილებელი; 3) შეფასების ერთ-ერთ კომპონენტში 0 ქულის მიღების შემთხვევაში სხვა კომპონენტებში მიღებული ქულები მხედველობაში არ მიიღება და იწერება გასაუბრების შეფასების შემაჯამებელი 0 ქულა. 4) საკონკურსო კომისიის თითოეული წევრის შემთხვევაში გასაუბრების შეფასება (ქულა) უდრის შეფასების კომპონენტებში მის მიერ მინიჭებული ქულების საშუალოარითმეტიკულ სიდიდეს; 5) გასაუბრების შემაჯამებელი შეფასება (ქულა) წარმოადგენს კომისიის ყველა წევრის მიერ მინიჭებული შეფასების ქულების საშუალოარითმეტიკულ სიდიდეს. კონკურსის მიზნებისთვის მხედველობაში მიიღება შემაჯამებელი საკონკურსო ქულა, რომელიც შეადგენს შესაძლო მაქსიმალური შემაჯამებელი ქულის არანაკლებ 51%-ს.

შემაჯამებელი ინფორმაცია

შეფასების კომპონენტები / **საკონკურსო კომისიის წევრი**		გასაუბრება სპეციალობაში*	მოტივაცია	სამუშაო გამოცდილება და/ან პროფესიული განვითარება (არსებობის შემთხვევაში)	**საკონკურსო კომისიის წევრის ხელმოწერა**	**სულ ქულა**
№	**სახელი, გვარი**	**ქულები**				
1.						
2.						
3.						
4.						
5.						

შემაჯამებელი ქულა:	

(თარიღი)